CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 27 მაისი, 2009 წელი. №116 (2154) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

თბილისში - 12 წლის შემდეგ
A7

დღეს დიდი დღეა, დიდი!
A16

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენის სადაზღვეო ჯგუფი

უცნობი 26 მაისი

ხატია ჭიჭელავილის ფოტო

დათო გამისონია

სარბენი ბილიკი, მოედნის მწვანე საფართან დამონტაჟებული სცენა და სტადიონის ტრიბუნები გუშინ ოპოზიციის ლიდერების სამოქმედო არენად იყო ქცეული. ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ მობილიზებულმა მოქალაქეებმა 13:00 საათზე სრულად შეავსეს 64 700-ადგილიანი სტადიონი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სათამაშო მოედანზე გაშლილი იყო საქართველოს ყოფილი და ახლანდელი სახელმწიფო დროშები. 12:00 საათის შემდეგ სტადიონის ცენტრალური შემოსასვლელიდან არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები რიგრიგობით შემოდიოდნენ და მხარდამჭერებს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავდნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

ჩვენ ვართ მთელი რეგიონის თავისუფლების კარიბჭე

ნათია მსხილაძე

საქართველო გააგრძელებს ბრძოლას სრული გათავისუფლებისათვის, *- ამ სიტყვებით გახსნა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დამოუკიდებლობის დღე ძმათა სასაფლაოზე. მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის გაგარძელდება მანამ, სანამ საქართველოს ტერიტორიას ბოლო უცხოელი ოკუპანტი სამუდამოდ არ დატოვებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

AFP ' 2009

CMYK - 1

გლდანი-ნაძალადევის რაიონში პოლიციის ახალი შენობა გაიხსნა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა და თბილისის მერმა გიგი უგულავამ გლდანი-ნაძალადევის რაიონში პოლიციის ახალი შენობა გახსნეს.

პოლიციის ახალი შენობა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, თანამედროვე საოფისე ავეჯით და ინვენტარით. შენობაში განთავსებულია კეთილმოწყობილი სამუშაო და მოსასვენებელი ოთახები თანამშრომელთათვის. პოლიციის ახალი შენობა ზაჰესისა და ავჭალის მოსახლეობას მოემსახურება.

მედიანიუსი

აღმასრულებელთა საკვალიფიკაციო გამოცდები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში აღმასრულებელთა საკვალიფიკაციო გამოცდები იწყება.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, გამოცდებს მოქმედი აღმასრულებლები და ის ფიზიკური პირები ჩააბარებენ, რომელთაც კერძო აღმასრულებლად მუშაობის სურვილი აქვთ.

გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია 9 ივნისს დასრულდება. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი 2009 წლის 1 ივლისიდან ამუშავდება. "გამოცდის წარმატებით ჩაბარება ლიცენზიის მიღების ერთ-ერთი წინაპირობა გახდება. ლიცენზიას იუსტიციის სამინისტრო გასცემს. ახალი ინსტიტუტი თვითრეალიზების და დასაქმების ახალი შესაძლებლობაა," - აცხადებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ლაშა მაღრაძე. აღსანიშნავია, რომ კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით "სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილება 2008 წელს შევიდა.

პირველი

ეჭვმიტანილებმა დანაშაული აღიარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დაკავებულები არიან 19 წლის ლევან კალმახელიძე და 18 წლის მერაბ გუგულაშვილი.

ოფიციალური ინფორმაციით, ისინი დანის მუქარით, კერძო ტაქსის მძღოლის, 59 წლის მურმან სამადაშვილის დაყაჩაღებასა და მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის გატაცებაში არიან ეჭვმიტანილები. სამართალდამცველების ინფორმაციით, დაკავებულმა ლევან კალმახელიძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა. გამოძიების მსვლელობისას დადგინდა, რომ აღნიშნული ავტომანქანის მძღოლს, მითითებულმა პირებმა ერთი დღის განმავლობაში უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე და 143-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ჯი-ეიჩ-ენი

გადამზადების კურსი არასრულწლოვანი პირობითი მსჯავრდებულებისთვის

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის იმერეთის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფი არასრულწლოვანი პირობითი მსჯავრდებულები პროფესიული გადამზადების პროგრამას ორგანიზაცია ციხის საერთაშორისო რეფორმის" (PRI) მხარდაჭერით გადიან.

ერთობლივად ორგანიზებულ სწავლებაში, პირველ ეტაპზე, ჩაერთვება 6 არასრულწლოვანი. ისინი სხვადასხვა საგნებთან ერთად კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის კურსებს გაივლიან. აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ, სწავლის მსურველთა ახალი ჯგუფი დაკომპლექტდება.

იმერეთის პრობაციის ბიუროს უფროსის ზაზა კვერნაძის ინფორმციით, სასწავლო პროგრამა თავად არასრულწლოვნებთან კონსულტაციის შედეგად, მათი ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა.

უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებული კოორდინატორები, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, პირობით მსჯავრდებულებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღებაში, საერთო ეროვნულ გამოცდებში რეგისტრაციის პროცესში და სხვა, იურიდიული და სოციალური ხასიათის პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებიან.

ჯი-ეიჩ-ენი

ევროპული კომისიის დადებითი შეფასება

ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა ორგანიზაცია CEPEJ - მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპულმა კომისიამ მართლმსაჯულების თაობაზე დასკვნა გამოაქვეყნა. ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯერჯერობით მხოლოდ 2006 წლის მართლმსაჯულების ანალიზია გაკეთებული. CEPEJ-ის მოხსენების ახალი გამოცემა ემყარება 45 ქვეყნის მონაცემებს, რომლებიც 2006 წლის მდგომარეობას ასახავს.

მართლსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის შეფასებით, საქართველოს მართლმსაჯულების 2006 წლის მონაცემები გაცილებით პროგრესულია, ვიდრე 2004 წლისა.

კვლევის მიხედვით, საქართველო 2006 წელს კომპიუტერიზაციის მხრივ, საშუალო დონის კომპიუტერიზაციის ჯგუფში მოხვდა, ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორიცაა: აზერბაიჯანი, ხორვატია, საბერძნეთი, პოლონეთი, ანდორა.

ევროპული კველვის მიხედვით, 2006 წლისთვის საქართველოში მოსამართლეთა რაოდენობა 272-ს შეადგენდა, რაც 100 ათას მოსახლეზე 6,2 მოსამართლეა. გამოკვლევის მიხედვით, სომხეთში ამ პერიოდში 179 მოსამართლე იყო, რაც 100 ათას მოსახლეზე 5,6 მოსამართლეს შეადგენდა; აზერბაიჯანში 494 მოსამართლე - 100 ათას მოსახლეზე 5.8; რაც შეეხება სხვა ქვეყნებს - ესტონეთში 239 მოსამართლე, 100 ათას მოსახლეზე 17,8. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი არის ირლანდიაში 132 მოსამართლე, ანუ 100 ათას მოსახლეზე 3,1.

გამოკვლევის მიხედვით, საქართველოში 2006 წელს 100 ათას მოსახლეზე შესული იყო 498 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა 462. სხვა ქვეყნების მაჩვენებლების მიხედვით, აზერბაიჯანში იმავე პერიოდში შევიდა 640 საქმე, დასრულდა 650, ესტონეთში შევიდა 1933 საქმე, დასრულდა 2095, საფრანგეთში შევიდა 2672 და დასრულდა 2571 საქმე.

გამოკვლევის მიხედვითვე, საქმეთა განხილვის დრომ საქართველოში პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე 2006 წელს შეადგინა 216 დღე. ამავე მაჩვენებელმა მოლდოვაში შეადგინა 39 დღე, ლატვიაში - 157 დღე, შვედეთში - 206, საფრანგეთში - 262, ბოსნია-ჰერცოგოვინაში კი 701 დღე.

დადებითი შეფასება დაიმსახურა საქართველოს მართლმსაჯულების ბიუჯეტმა და მისი განაწილების სისტემამ.

კვლევაში ათქვამია, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კვიპროსი, ირლანდია, საქართველო და დიდი ბრიტანეთის შოტლანდია სასამართლო ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა სასამართლო შენობების შენახვისა და მათში ინვესტირების ხარჯები, რაც, მართლსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიისთვის პრიორიტეტულია

განვითარებულ ქვეყნებში სამართლებრივი სისტემების დაფინანსება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან და უპირატესობა ყოველთვის სასამართლო სისტემას აქვს. ლიტვაში სასამართლოსთვის გამოყოფილია 58 მილონი ევრო, პროკურატურისთვის კი, მხოლოდ 27 მილონი, ანუ ორჯერ ნაკლები. უკარაინაში კი, სასამართლო 276 მილონი ევროთია დაფინანსებული, მაშინ როცა პროკურატურის ბიუჯეტი 120 მილიონი ევროა. CEPEJ-ის დაკვნის თანახმად, 2006 წელს საქართველოში მართლსაჯულებისთვის მთლიანად (სასამართლო, პროკურატურა და სამართლებრივი დახმარება) გამოყოფილი ბიუჯეტი იყო 19 813 558 ევრო. აქედან, სასამართლოს ბიუჯეტი შეადგენდა 11 760 538 ევროს, პროკურატურის 8 მილონს.

სომხეთის და აზერბაიჯანის სასამართლოს და პროკურატურას თანაბარი ბიუჯეტი აქვთ.

CEPEJ-ის ანალიზი ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა და მასში ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯერჯრობით მხოლოდ 2006 წლის მართლმსაჯულების ანალიზია გაკეთებული. არადა, მას შემდეგ, სასამართლოების ბიუჯეტი ორჯერ გაზარდა, რაც CEPEJ-ის 2010 წლის ანალიზში აუცილებლად აისახება.

საქმე ისაა, სასამართლოების ბიუჯეტი 2003 წლიდან ყოველწლიურად იზრდებოდა და 2009 წელს საკმაოდ სოლიდური გახდა.

2003 წელს სასამართლო სისტემის ბიუჯეტი 11 153 602 ლარი იყო, 2004 - 12 284 818, 2005 - 14 388 484, 2006 - 32 573 250, 2007 - 35 503 400, 20008 - 40 982 400, 2009 წელს კი - 45 013 100 ლარია.

აქედან, უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტი: 2003 წელს - 1 785 000 ლარი, 2004 - 2 398 738, 2005 - 2 936 500, 2006 - 3 739 200, 2007 - 3 939 200, 2008 - 4 903 700, 2009 წელს 5 385 000;

იუსტიციის უმაღლესი საბჭო: 2003 - 610 000, 2004 - 610 000, 2005 - 610 000, 2006 - 987 400, 2007 - 968 000, 2008 - 1 032 000, 2009 წელს - 1 200 000;

საერთო სასამართლობის დეპარტამენტის აპარატი: 2003 - 461 000, 2004 - 524 917, 2005 - 489 440, 2006 - 620 400, 2007 - 749 300, 2008 - 706,400, 2009 - 986 400;

საერთო სასამართლოები: 2003 - 8 297 602, 2004 - 8 751 163, 2005 - 10 352 544, 2006 - 27 105 250, 2007 - 28 795 100, 2008 - 33 288 500 , 2009 - 36 389 900;

იუსტიციის უმაღლესი სკოლა: 2006 - 121 000, 2007 - 1 051 800, 2008 - 1 051 800, 2009 - 1 051 800;

შრომის ანაზღაურება: 2003 - 74.1 პროცენტი, 2004 - 78.7, 2005 - 73, 2006 - 50.8, 2007 - 56.7, 2008 - 64.4, 2009 - 67.7 პროცენტი;

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და

გრანტებით განხორციელებული ინვესტიციური პროექტები: 2004 - 4 110 000, 2005 - 2 000 000, 2006 - 819 000, 2007 - 350 000, 2008 - 170 000, 2009 - 150 000;

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული დაფინანს წყაროებით და გრანტებით განხორციელებულ ინვესტიციურ პროექტებში სახელწიფო ბიუჯეტიდან გაწეული თანამონაწილეობის და დაფინანსების ხარჯები: 2004 - 1 483 000; 2005 - 450 000, 2006 - 220 050, 2007 - 260 000, 2008 - 340 000; 2009 - 300 000

არსებული კანონმდებლობით, სასამართლოების ბიუჯეტი დაცულია და მისი შემცირება მოსამართლეთა კონფერენციის თანხმობითაა დასაშვები.

სასამართლოს ბიუჯეტით ევროსტანდარტების შესაფერისად გარემონტდა და აღიჭურვა 45 სასამართლო შენობა, მიმდინარე წელს დაგეგმილია კიდევ 11 სასამართლო შენობის გარემონტება. რემონტისთვის გამოყოფილი თანხა 45 463 100 ლარია.

სასამართლოს ბიუჯეტი და მისი ხარჯვის მონაცემები გამჭვირვალეა და მისი ნახვა შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე.

ეჭვმიტანილები დააკავეს

დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დააკავეს ადამიანის გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის წევრები: 35 წლის არმენ აგაჯანოვი, 30 წლის ლევან ახალაია, 33 წლის გიორგი ფიროსმანაშვილი და 39 წლის პაატა ალანია, რომლებმაც 23 მაისს, ლუდის ბარ შატილის" მიმდებარე ტერიტორიიდან ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს 22 წლის რაულ ახმედოვი.

აღნიშნული პირები რაულ ახმედოვს ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ და ოჯახისგან ითხოვდნენ გამოსასყიდ თანხას - 500 000 ამერიკული დოლარის ოდენობით. ორდღიანი ტყვეობის შემდეგ, გამტაცებლებმა ოჯახისგან ვერ მიიღეს მათ მიერ მოთხოვნილი თანხა და გადაწყვიტეს რაულ ახმედოვის თავიდან მოცილება. წაიყვანეს თბილისიდან რუსთავის მიმართულებით და გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანთან მდებარე ხიდიდან ხელებშეკრული გადააგდეს მდინარე მტკვარში". გატაცებულმა მოახერხა თავის გადარჩენა.

სამართალდამცველებმა დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი ახალგაზრდა მამაკაცი.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ხარაგაულის რაიონში მცხოვრები 26 წლის გურამ ორთოიძე დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 21 მაისს მან ხარაგაულის რაიონის სოფელ ჩხერში ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლით გულ-მკერდის არეში დაჭრა გოჩა ხარატიშვილი, რომელიც მიყენებული დაზიანების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველების ინფორმაციითვე, ჩხრეკის შედეგად ორთოიძისგან ამოღებულია მკვლელობის იარაღი - ორლულიანი სანადირო თოფი, ასევე გადაჭრილი ერთლულიანი სანადირო თოფი.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს. ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში ორთოიძეს თავისუფლების 7-დან 15 წლამდე წლამდე აღკვეთა ემუქრება.

საკუთარი ინფორმაცია

ევროსასამართლოში მორიგი სარჩელი გაიგზავნა

ევროსასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთი სარჩელი გაიგზავნა. თაბუკაშვილის №50-ის ყოფილი მობინადრეები სახელმწიფოსგან მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ. ინვესტორი - "კაპიტალ ვოსტოკი", რომელსაც თაბუკაშვილის ქუჩის მობინადრეებისთვის შევჩენკოს ქუჩაზე კორპუსი უნდა აეშენებინა, ნაკისრ ვალდებულებს ვერ ასრულებს. როგორც მათი ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აცხადებს, ორი თვეა არც ერთ მობინადრეს დროებითი საცხოვრებლის ქირასაც აღარ უხდიან. სარჩელი, რომლითაც დაზარალებულები საცხოვრებელი კორპუსის დანგრევის უკანონოდ ცნობას ითხოვნდნენ, ქართულმა სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო.

თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრები 24 ოჯახი მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად სახელმწიფოსგან 50 მილიონ ევროს ითხოვს.

პარალელურად სარჩელი შევიდა საქალაქო სასამართლოში "კაპიტალ ვოსტოკისა" დაარაბული კომპანია "დაბიჯგუფჯორჯიას" წინააღმდეგ. დაზარალებულება ადვოკატის დი მიტრი გაბუნიას თქმით, ისინი მოითხოვენ თაბუკაშვილის ქუჩაზე იმ მიწის დაყადაღებას, სადაც კორპუსი იყო აშენებული და უკან დაბრუნებას.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მერიამ თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე 13-სართულიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი 2007 წლის ივლისში დაიწყო. ნგრევის და გამოსახლების პროცესის დაწყებას კერძო მესაკუთრეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. მთელი დღის განმავლობაში, პატრულსა და მესაკუთრეებს შორის არაერთი შეხლა-შემოხლა მოხდა, რომლის დროსაც, რამდენიმე ადამიანი დაშავდა. ქალაქის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, საცხოვრებელი სახლი უკანონოდ იყო აშენებული, ამორტიზებული და სეისმურად არამდგრადი იყო..

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ჩვენ ვართ მთელი რეგიონის თავისუფლების კარიბჭე

პირველი გვერდიდან

AFP' 2009

მუხათგვედრის სამხედრო სასაფლაოზე, სადაც აგვისტოს ომის დროს დაღუპული 23 სამხედრო მოსამსახურეა დაკრძალული, გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მთავრობის წევრები სამხედრო სასაფლაოს ოფიციალურ გახსნას დაესწრნენ. გუშინვე მუხათგვედრის სასაფლაოზე სამხედრო მემორიალი გაიხსნა, რომლის შექმნაზეც არქიტექტორები, მამა-შვილი ხმალაძეები ერთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. ამასთან, საფუძველი ჩაეყრება სამხედრო სასაფლაოზე ტაძრის მშენებლობას და რამდენიმე თვეში მუხათგვედრში 100 ათასი მოწამის სახელობის ტაძარი აშენდება.

მუხათგვედრის სამხედრო სასაფლაოზე სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო დგება ფეხზე და განაგრძობს ბრძოლას, ერთი მხრივ, სრული გათავისუფლებისთვის, მეორე მხრივ კი - აღმშენებლობისა და უკეთესი მომავლისათვის. **წარმატებული, დემოკრატიული და ეკონომიკურად ფეხზე დამდგარი საქართველო იქნება ყველაზე დიდი პატივის მიგება იმ გმირებისთვის, რომლებიც ქვეყნის ერთიანობისთვის დაიღუპნენ. ეს ჩვენს მტერსაც გააკვირვებს,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაიხსენა აგვისტოს ომის დეტალები და მეომრებს თავდადებისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

გასული წლის ომის დამგეგმავად პრეზიდენტმა რუსეთის პრემიერი ვლადიმირ პუტინი დაასახელა და აღნიშნა, რომ სწორედ მისი მითითებით შემოვიდა რუსეთის ბრძოლისუნარიანი სამხედრო შენაერთების 90 პროცენტი საქართველოში. **მას შემდეგ, რაც როკის გვირაბი რუსული ჯავშანტრანსპორტიორების ჯგუფმა გადმოკვეთა და დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დაბომბვა, ხელისუფლება იძულებული გახდა, პასუხი გაეცა,** - განაცხადა პრეზიდენტმა ომის წამომწყების თემაზე საუბრისას. ამასთან, სააკაშვილის განმარტებით, რუსეთმა საქართველოში იმ რაოდენობის სამხედრო ტექნიკა შემოიყვანა, რა რაოდენობითაც შევიდა 1979 წელს - ავღანეთში და 1968 წელს ჩეხეთში. **შარშან 12 აგვისტოსთვის რუსული ტანკები თბილისის მისადგომებთან იდგნენ და რუს გენერლებს თბილისის აღების ბრძანება ჰქონდათ მიღებული. მათი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ერთხელ და სამუდამოდ დასამარება, კავკასიაში გამეფება და საბჭოთა კავშირის აღდგენა. ეს ერთხელ უკვე იყო 1921 წელს, როცა საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ თავს გაქცევით უშველა და მხოლოდ რამდენიმე ასეული ჩვენი მებრძოლი ამაგრებდა ფრონტს. შარშან საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა დაიცვა და მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ ჩვენ ვართ მთელი რეგიონის თავისუფლების კარიბჭე. ჩვენ შემოგვყურებს უამრავი ქვეყანა ჩვენგან აღმოსავლეთით, რადგან საქართველოს დაცემა ნიშნავს ამ ქვეყნების დაცემას და განადგურებას. ჩვენ შემოგვყურებს ძალიან ბევრი ქვეყანა მთელ მსოფლიოში და ის, თუ რამდენად ამაყად იფრიალებს საქართველოს დროშა, განაპირობებს ამ ქვეყნების მომავალს და ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მაშინ, როდესაც არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ "სახალხო აღლუმზე" დინამოს ეროვნული სტადიონი ქვეყნის მოქალაქეებით იყო გადავსებული, პრეზიდენტი იქ შეკრებილთა რაოდენობამ ვერ გააკვირვა.

დღეს ჩვენი მოქალაქეების ნაწილი შეიკრიბა სტადიონზე იმისთვის, რომ პროტესტი გამოთქვას საქართველოს მთავრობის პოლიტიკის მიმართ. მე არ მიკვირს ეს და პატივსაც ვცემ მათ პოზიციას. არ მიკვირს იმიტომ, რომ წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე, თითქმის, 700 ათასმა ჩვენმა მოქალაქემ ხმა ჩემ წინააღმდეგ მისცა და მხარი რადიკალურად დაპირისპირებულ ნაწილს დაუჭირა. არ არის გასაკვირი, რომ რაღაც ნაწილი ამ ხალხისა პერიოდულად თავის გულისწყრომას გამოთქვამს, რომ მათი კანდიდატი, მათი რჩეული ვერ გავიდა და გავიდა ის, ვინც მათ არ უნდოდათ, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრისას.

მისივე მტკიცებით, უმრავლესობა უმცირესობის გადაწყვეტილებებს ყოველთვის ითვალისწინებს, რადგან დღეს ერთი პარტიაა ხელისუფლებაში და ხვალ შეიძლება, მეორე იყოს. **პოლიტიკური პარტიების მიერ მთავრობების შეცვლა ხდება პერიოდული არჩევნების გზით და ეს არის ის სისტემა, რომლის თამაშის წესები ჩვენ უნდა ვისწავლოთ,** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცალსახად აცხადებს, რომ ცალკე აღებული ვერც ერთი პოლიტიკური ჯგუფი საკუთარ აზრს, როგორც ულტიმატუმს, საზოგადოებას თავს ვერ მოახვევს. იგი მიიჩნევს, რომ ყველას აზრი გასათვალისწინებელია, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება ყველა ჯგუფის და ყველა ადამიანის ინტერესის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

მიხეილ სააკაშვილმა გუშინ თბილისის №10 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრაზე დემოკრატიის მთავარი პრინციპებისა და ამოცანების შესახებ ისაუბრა და ყურადღება კანონის უზენაესობის დაცვის აუცილებლობაზე გაამახვილა. ამ კონტექსტში სააკაშვილმა პარალელები გაავლო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში შემავალ საქართველოსა და ესტონეთს შორის და ის პერიოდი გაიხსენა, როცა ესტონეთში პირველად სკოლის მოსწავლის ასაკში ჩავიდა. **ესტონეთში ჯერ კიდევ მაშინ ვნახე, როგორ გაჩერდა შუაღამით მანქანა შუქნიშანთან, როცა ქუჩა სრულიად ცარიელი იყო. საქართველოში, რომელიც ასევე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა იყო, იმ დროს შუქნიშანზე თითქმის არავინ ჩერდებოდა, ქუჩებს კანონიერი ქურდები და მაგარი ბიჭები აკონტროლებდნენ, ქვეყანაში კი სრული კორუფცია და განუკითხაობა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებაში სხვა ხალხი მოსულიყო, ქვეყანას იგივე ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში. ხელისუფლებაში მოვიდა სხვა ჯგუფიც, რომელსაც რაღაცის შეცვლა სურდა და რომელშიც თავად მეც ვიყავი, მაგრამ მაშინ ყველა ეს მცდელობა იგივე იყო, რაც ქვიშაში მაღალსართულიანი სახლის აშენება,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

დღის ბოლოს კი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში საჰაერო მოძრაობის მართვის ახალი მაღლივი კოშკის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი.

ეს ნაგებობა, რომლის სახელწოდებაა თავისუფლების ჩირაღდანი", სააკაშვილის თქმით, ერთიანი თავისუფალი მომავლისა და თავისუფალი არჩევანის სიმბოლო იქნება.

პრეზიდენტის განცხადებით, თავისუფლების ჩირაღდანი" საქართველოს მრავალი კუთხიდან გამოჩნდება, მათ შორის აფხაზეთიდანაც.

საჰაერო მოძრაობის მართვის ახალი მაღლივი კოშკი დაპროექტებულია დღეისათვის მსოფლიოში არსებული უმაღლესი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით. კოშკის საფუძველი 900 კვ.მ-ს დაიკავებს, მისი სიმაღლე 130 მეტრი იქნება.

მართალია, პრეზიდენტი დინამოს სტადიონზე შეკრებილ მოქალაქეთა რაოდენობამ არ გააკვირვა, მაგრამ დღის ბოლოს იგი თბილისში მიმდინარე მრავალრიცხოვან საპროტესტო აქციას ბათუმიდან მაინც გამოეხმაურა. პრეზიდენტის თქმით, მას ძალიან კარგად ესმის ხალხის გაჭირვება და ამ პროტესტის მოტივიც.

შეიძლება ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის შეხედულებებს არ ვეთანხმებოდე და მიუღებელი იყოს ზოგიერთის საქციელი, მაგრამ ჩვენ ერთნაირად გვიყვარს საქართველო, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მოძრაობა გაიხსნება

ქართულმა მხარემ შვეიცარიის საელჩოდან მიიღო ინფორმაცია, რომ რუსეთმა დაასრულა ყაზბეგი-ზემო ლარსის გამშვები პუნქტის სარემონტო სამუშაოები და მზად არის, გახსნას მოძრაობა. გარდა ამისა, მოსკოვი გამოდის ინიციატივით, დაიწყოს მოლაპარაკებები ქართულ მხარესთან ტექნიკური დეტალების შესახებ.

ოფიციალურ თბილისს ამ შეთავაზებაზე დადებითი პასუხი აქვს. ოღონდ, ერთი პირობით: საქართველოს ხელისუფლება გამშვები პუნქტის გახსნაზე რუსეთთან მოლაპარაკებას მხოლოდ შვეიცარიის მხარის დასწრებით აპირებს.

შვეიცარიის შუამავლობის აუცილებლობას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე იმით ასაბუთებს, რომ რუსეთისგან არანაირი პროვოკაცია არ არის გამორიცხული.

ნაკლებად მგონია, რომ მათი ეს შემოთავაზება რაიმე ჰუმანიტარული მიზეზით ან მიზნით იყოს გამოწვეული," - მიიჩნევს საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი.

ვაშაძის ინფორაციით, ყაზბეგი-ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გახსნისთვის მზადყოფნის შესახებ ინფორმაცია რუსეთმა, საქართველოზე ადრე, სომხეთის მთავრობას მიაწოდა - იმ იმედით, რომ ერევანი თბილისზე ზეწოლას განახორციელებდა.

მინისტრი ვარაუდობს, რომ მოლაპარაკებების დაწყებაზე საქართველოს მხრიდან თანხმობას რუსული მხარე, შესაძლოა, არ ელოდა და ამის შემდეგ რუსულ პრესში უნდა ატეხილიყო ისტერია, თითქოს, საქართველოს ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეებისა და მეზობელი სომხეთის აზრს არ ითვალისწინებს.

ვაშაძის განცხადებით, მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილება ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებში შედის.

რუსეთის მხრიდან ზემო ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნის საკითხზე კომენტარს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილიც აკეთებს.

მისი განცხადებით, ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნა კავშირშია არა საქართველოსთან, არამედ მეზობელ სახელმწიფოებთან.

ჩვენ არასდროს ვიყავით ბლოკადის მომხრეები. არც ახლა ვართ. ეს ეხება არა მარტო რუსეთს, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებსაც. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავუშვებთ ამ დერეფნით სამხედრო ტვირთის გატარებას. ეს ძალიან მკაცრად იქნება გაკონტროლებული. ჩვენ არანაირად არ გვინდა, რომ რუსეთმა ზიანი მოუტანოს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს და, მით უმეტეს, საქართველოს ტერიტორიაზე დამატებითი სამხედრო შეიარაღება შემოიტანოს. რაც შეეხება სხვა კომერციულ და ჰუმანიტარულ ტვირთებს, ამას ჩვენი მხრიდან არანაირი დაბრკოლება არ ექნება. ეს ნაბიჯი რუსეთმა იმიტომ გადადგა, რომ სომხეთმა შეაწუხა. ჩვენ გვაქვს აღებული ვალდებულებები მეზობლებთან. ჩვენ არ გვინდა, შევზღუდოთ სომხეთისკენ ტრანზიტი. პირველ რიგში, მოსახლეობამ უნდა იაროს ერთმანეთთან. რუსეთში ბევრი ქართველი ცხოვრობს, ამიტომ იმ ხალხს, ვისაც სურს ურთიერთობა, უნდა მიეცეს ამის საშუალება," - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი, რომლის თქმითაც, საქართველოს მხრიდან გადადგმული იქნება ადეკვატური ნაბიჯები რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მოძრაობის გახსნის საკითხში.

საკუთარი ინფორმაცია

განცხადება

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 21 მაისის გაზეთში გამოქვეყნებული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სააგენტოს განყოფილებების სარემონტო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების I პუნქტის ლოტი-3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლოტი 3. - 193.6 მ2 ფართის ქარელის რაიონული განყოფილების სარემონტო სამუშაოები;

უცნობი 26 მაისი

პირველი გვერდიდან

ხანგრძლივი ქუჩის საპროტესტო აქციების შემდეგ ამჯერად მაყურებლის როლში მყოფი დემონსტრანტები თეთრი ალმებით ესალმებოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებს. ოპოზიციის ზოგი ლიდერი სცენასთან მისვლით არ დაკმაყოფილდა და ფეხით შემოიარა სარბენი ბილიკი. მოედანს პირველმა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა დაარტყა წრე, შემდეგ კი იგივე მარშრუტი ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ და გია ყარყარაშვილმა გაიარეს. რამდენიმე წუთში სტადიონზე, მხარდამჭერებთან ერთად, გამოჩნდა გია გაჩეჩილაძე. მალევე აქტივისტებმა უცნობი ხელში აიტაცეს და ასე ესალმებოდა მხარდამჭერებს. მოულოდნელად უცნობი მწვანე მინდორზე შეიჭრა და ხუთჯვრიან დროშაზე დაიჩოქა, შემდეგ კი სპეციალურად დამონტაჟებული სცენიდან მიესალმა მაყურებლებს. 26 მაისს ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციასა და დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, სიტყვით გამომსვლელებამდე, ნატო მეტონიძე ავიდა სცენაზე და სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა. ეროვნულ სტადიონზე მიმდინარე მასობრივ შეკრებაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 26 მაისს დაბადებულ, საქართველოს ეროვნულ გმირ მერაბ კოსტავას ხსოვნას.

მხარდამჭერებს პოლიტიკოსთაგან სიტყვით პირველმა მიმართა ალიანსი საქართველოსთვის წევრმა დავით ბერძენიშვილმა. **მოგესალმებით იმ ხალხს, ვისაც აქვს უფლება, იყოს სამფეროვანი დროშის ღირსი და ხუთჯვრიანი დროშის ღირსი. ჩვენს გერბს აწერია - ძალა ერთობაშია, დღეს მართლაც ასეა, რადგან პატარა საქართველოში, ფაქტობრივად, ოჯახი არ არის, რომ მისი წარმომადგენელი აქ არ იყოს. ხედავთ, რა მდგომარეობაში ჩაიგდო სააკაშვილმა თავი, რომ მას სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის ავტორიც კი პროტესტს უცხადებს,** - განაცხადა ბერძენიშვილმა. რესპუბლიკური პარტიის წევრმა კიდევ ერთხელ მოითხოვა ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ბერძენიშვილმა თავისუფალი არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელ წინაპირობად შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება დაასახელა. **ვანო მერაბიშვილის საქართველოში ჩვენ არ ვიცხოვრებთ,** - აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

ირაკლი ალასანიამ ეროვნულ სტადიონზე შეკრებილებს ასე მიმართა: **მოდით, დღეს კიდევ ერთხელ დავანახოთ საკუთარ თავს, ერს, ხელისუფლებას, მთელ მსოფლიოს, რომ ერთად ვიდგებით, სანამ არ შეიცვლება ხელისუფლება. პროტესტი მანამდე გაგრძელდება, სანამ თითოეული მოქალაქე არ იქნება დაცული, სასამართლო არ იქნება თავისუფალი და ჩვენ არ მივიღებთ ერთ-ერთ ყველაზე მთავარ დემოკრატიულ უფლებას, თავისუფალი არჩევანის უფლებას.**

ალიანსი საქართველოსთვის ლიდერმა ოპოზიციის მომავალი გეგმები 24 საათს გაუზიარა. მისი აზრით, კონკრეტული აქციები უფრო მაღალ დონეზე უნდა იყოს ორგანიზებული და დაგეგმილი. **მე ვიხრები იმისკენ, რომ პერმანენტული აქციები უნდა იყოს უფრო მობილური და ორიენტირებული კონკრეტულ საკითხზე და უწყებაზე,** - აღნიშნა ალასანიამ. ის აუცილებლად მიიჩნევს, რომ გაგრძელდეს ოპოზიციური ბრძოლის მიმართულებები, კერძოდ, ოპოზიცია უნდა ჩაერთოს შინაარსიანი მოლაპარაკებების პროცესში, რათა კონკრეტული მოთხოვნები წაუყენოს ხელისუფლებას. ამასთანავე, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში მიმდინარე პროცესებში საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ ჩაბმას - თავდაპირველად, როგორც ზედამხედველად, შემდეგ კი მიღწეული შეთანხმების გარანტად. **ბოლო პერიოდში ჩვენ ბევრად უფრო გავააქტიურეთ შეხვედრები ელჩებთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. თუმცა ეს არ არის საკმარისი, ამიტომ უნდა გვქონდეს შესაძლებლობა, დედაქალაქებში ჩავიდეთ და იქ ავუხსნათ უკვე საგარეო-პოლიტიკურ უწყებებში, თუ რატომ არის გარდაუვალი ის ცვლილება, რომელიც საქართველოში დაიწყო. აუცილებელია, მათ კარგად ესმოდეთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებას დღეს სწორედ თავისუფალი არჩევნების შესახებ გადაწყვეტილება სჭირდება,** - განაცხადა ალასანიამ.

სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერები არაერთგვაროვნად ხედავენ პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელების სამომავლო გზებს. ალიანსი თავისუფლებისთვის ლიდერმა კოკო გამსახურდიამ განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური ერთობა დამოუკიდებლად აპირებს მოქმედებას, თუმცა მან სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად მოქმედებაც არ გამორიცხა. **ჩვენთვის რომელი საპროტესტო აქციაც მისაღები იქნება, იმ აქციას შევუერთდებით,** - განმარტა ეროვნულ სტადიონზე მყოფმა გამსახურდიამ. ამასთან, კოკო გამსახურდიას აზრით, 9 აპრილის შტაბის ფორმატით ოპოზიციური პარტიების თანამშრომლობამ შესაძლებლობები ამოწურა.

ეროვნული ფორუმის ლიდერები საპროტესტო არეალის კიდევ უფრო გაზრდას და რეგიონებში აქტიურ მოქმედებას მოითხოვენ. ეროვნულ სტადიონზე სიტყვით გამოსვლისას, ეროვნული ფორუმის წევრმა გუბაზ სანიკიძემ შექმნილი ვითარება ბრძოლის დასასრულად შეაფასა, თუმცა აღნიშნა, რომ **ფინალი ჯერ კიდევ წინ არის.**

სტადიონზე შეკრებილთა წინაშე ერთ-ერთი ბოლო გამომსვლელი იყო ლევან გაჩეჩილაძე: **ნუ ვიქნებით სულსწრაფები! მე დარწმუნებული ვარ, რომ ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდება და წარმატებით დასრულდება.** ამის შემდეგ მან დაიჩოქა და მადლობა გადაუხადა შეკრებილ ხალხს. **დღეს რამდენჯერმე ვიტირე... უნდა გითხრათ, რომ ეს ხშირად არ ხდება. კაცს ტირილი თუ არ შეუძლია, ის კაცი არ არის. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მშობლებს და თქვენს მშობლებს, ჩემს მეუღლეს და შვილებს, ქართველებს და არაქართველებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ,** - განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. სტადიონზე მიმდინარე აქციის დასასრულს ოპოზიციის მხარდამჭერებს სიტყვით მიმართა მომღერალმა უცნობმა. მან შეკრებილებს სამების ტაძრისკენ დაძვრისკენ მოუწოდა. **დღევანდელი დღე უნდა გავაგრძელოთ ისე, როგორც გვეკადრება. საქართველოს არ ჰყავს პრეზიდენტი, მთავრობა, მაგრამ ჰყავს უწმინდესი და უნეტარესი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ამიტომ უნდა წავიდეთ სამების ტაძარში და რჩევა ვკითხოთ პატრიარქს და ის გვეტყვის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ,** - აღნიშნა გია გაჩეჩილაძემ. მისი მოწოდების შემდეგ სტადიონზე შეკრებილი მოქალაქეები, აღმაშენებლის გამზირის გავლით, სამების ტაძრისკენ გაემართნენ.

გაგრძელება A5 გვერდზე

ხანრი ჯიბლაძეისა ფოტოები

AFP ' 2009

უცნობი 26 მაისი



ხატია ჯიბლაძისა ფოტოები

გიორგი ბუხაიძის ფოტო

მეოთხე გვერდიდან

სტადიონიდან სამებაში

მოქალაქეთა უმეტესობამ, ხალხის სიმრავლის გამო, ტაძარში შესვლა ვერ მოახერხა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, მშვიდობის პარაკლისის დაწყებამდე, ერს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და ქადაგებით მიმართა. **დღეს, აი უკვე თითქმის თვენახევარია, ნაწილი ჩვენი მოსახლეობისა თხოულობს პრეზიდენტის გადადგომას. მე მინდა ვთქვა, რომ ეს იმდენად რთული საკითხია და საერთოდ, თითქოს წესად იქცა ჩვენში, პირველი პრეზიდენტი, მეორე პრეზიდენტი იყვნენ გადაყენებულნი და თქვენ იცით, ამ გადაყენებამ რა მოგვიტანა,** - აღნიშნა მან, - **მე ამას ვამბობ უბრალოდ, როგორც ჩემს აზრს, რომ ხომ არ იქნებოდა უფრო სწორი, ჩვენ მოვუსმინოთ ერთმანეთს. ყველა ადამიანს აქვს თავისი აზრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის აზრი ერთადერთი და ჭეშმარიტია და აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ერთმანეთს, ის კარგი აზრი უნდა მივიღოთ. ჩვენ უნდა გვქონდეს უნარი მოსმენისა, ყველას - პარტიარქსაც, პრეზიდენტსაც, ერის ადამიანს და ჩვეულებრივ ადამიანს. ჩვენში არ უნდა იყოს ის, რომ ეს ამ პარტიის წევრია და ამიტომ ჩვენია, ის სხვა პარტიის წევრია და უცხოა. ჩვენ ვართ ერთი ერი და ჩვენ ერს გვჭირდება ერთსულოვნება. ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ უფალმა თავისი ნებით გადაწყვიტოს ეს საკითხები, რომელიც დგას ჩვენ წინაშე.**

ნუ ავიღებთ უფრო მეტ უფლებებს, რაც დაშვებულია ღვთისაგან. ჩვენ უნდა ვიყოთ მორჩილნი ღვთის ნებისა. ღვთის მადლი ყველაფერს განარჩევს, ყველაფერს დაალაგებს თავის ადგილზე, - მოუწოდა პატრიარქმა ტაძარში შეკრებილთ. უწმინდესმა ქადაგებისას ასეთი მაგალითიც გაიხსენა: **ერთ ბრძენ ადამიანს ჰკითხეს, რა არის ყველაზე საშიში და მან უპასუხა - კატეგორიული აზროვნება. კატეგორიული აზროვნება ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ვერ უსმენს სხვას. მას ჰგონია, რომ მასშია მხოლოდ ჭეშმარიტება, სიბრძნე და ის აზრი უნდა იყოს განხორციელებული... უფალი მეფობს, უფალი ქმნის, ძალიან ხშირად ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება, ჩვენი სურვილი საკმარისია იმისთვის, რომ ესა თუ ის აზრი განხორციელდეს.**

უწმინდესის ქადაგებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ამპარტავნების ცოდვას. **ამპარტავნება გვახასიათებს ჩვენ და ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ უფალმა გვიხსნას ჩვენ ამ ცოდვისგან. ამპარტავნება საშინელი ცოდვაა. ამან დაღუპა ანგელოზი და აქცია ის ეშმაკად. ამპარტავნების გამო ადამიანი იყო განდევნილი სამოთხიდან დედამიწაზე. წმინდა მამები ამბობენ, რომ ამპარტავნებას ვერ კურნავს ვერც წმინდანი, ვერც ანგელოზი, მას კურნავს მხოლოდ წმინდა სამება. და აი, ჩვენ ვდავართ წმინდა სამების წინაშე და შევთხოვთ მას, რომ გვიხსნას ჩვენ ამ ცოდვისგან,** - ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

სამების ტაძარში, ოპოზიციის ლიდერების გარდა, იმყოფებოდნენ თბილისის მერი გიგი უგულავა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი, ასევე საპარლამენტო უმრავლესობის წევრები კობა ხაბაზი და გიორგი მელაძე. ტაძრის ეზოში ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოჩენამ მომიტინგეთა შორის მღელვარება გამოიწვია. ისინი თბილისის მერს თანამდებობიდან გადადგომისკენ მოუწოდებდნენ, სამების ტაძარის ეზოში მყოფი მოქალაქეების ნაწილმა კი გიგი უგულავას შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც მიმართა. შეკრებილი მოქალაქეების უკმაყოფილება ამით არ დასრულებულა. ტაძრის ეზოში მყოფმა ოპოზიციის მომხრეებმა საპროტესტო აქციების ორგანიზატორების მიმართაც გამოხატეს პროტესტი - ისინი პროტესტის გამწვავებას ითხოვდნენ. შეკრებილ ხალხთან მივიდა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე და მოქალაქეებს განუცხადა, რომ ოპოზიციის ლიდერებს შორის მოლაპარაკებების შემდეგ გაახმოვანებდა შემდგომი მოქმედების გეგმას. თუმცა, მოქალაქეებმა მას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღება მოსთხოვეს. ამის შემდეგ შეკრებილ ადამიანებთან მისულმა გია გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ **ახლა ხალხი აიღებს ყველაფერს თავის თავზე.** გია გაჩეჩილაძე სამების ტაძარში მისვლისას პატრიარქისგან რჩევის მოსმენას ელოდა და აცხადებდა, რომ **საბოლოო ჯამში, პატრიარქს უნდა ვკითხოთ, როგორ განვითარდეს ქვეყანა და რას ურჩევს თავის ხალხს.** თუმცა ტაძრიდან უცნობი იმედგაცრუებული გამოვიდა და ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან უწმინდესზე შანტაჟი იყო. მისი თქმით, **პატრიარქმა ის განცხადება ვერ გააკეთა, რაც სურდა, რადგან რეალურად მას სხვა რამის თქმა უნდოდა.**

შეკრებილი მოქალაქეების დასაშოშმინებლად ოპოზიციის ლიდერებმა პარლამენტის შენობასთან გადანაცვლებისკენ მოწოდება გააკეთეს და ხალხს დაჰპირდნენ, რომ შემდგომი მოქმედების გეგმას რუსთაველის გამზირზე მისვლის მერე გააცნობდნენ.

კვლავ რუსთაველის გამზირზე

მას შემდეგ, რაც დემონსტრანტები პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ, მათ ოპოზიციის ლიდერებისგან რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მოითხოვეს. შეკრებილი ხალხი ოპოზიციის ლიდერებს აჯანყებისკენაც მოუწოდებდა. **ოპოზიცია სამოქალაქო სისხლისღვრას ხელს არ მოაწერს. დღევანდელი დღე უნდა შემდგარიყო. ნუ უყურებთ პროცესს ისე, რომ რადგან ამდენი ხალხი შევიკრიბეთ, აუცილებლად სადღაც უნდა შევვარდნილიყავით. ამის გაკეთება რომ გვინდოდეს, აქამდეც გავაკეთებდით. სიკეთის გარდა, სხვა ბრძოლაში არ გამოგადგებით,** - განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. ამის შემდეგ ლიდერებმა რამდენიმეწუთიანი მოლაპარაკება გამართეს და მოქმედების შემდგომი გაგრძელებისთვის ორი გადაწყვეტილება განიხილეს - თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ან რკინიგზის პიკეტირება. სანამ თათბირი მიმდინარეობდა, მომიტინგეებს სიტყვით მიმართა კონსერვატორების ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა. მისი თქმით, სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველში იმყოფებოდა შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და მან პატრიარქზე ზეწოლა მოახდინა. რამდენიმე ლიდერის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ალიანსი საქართველოსთვის თანათავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ მასობრივ შეკრებაზე მყოფთ ოპოზიციის გადაწყვეტილების შესახებ აცნობა. მემარჯვენეების ლიდერმა განაცხადა, რომ ოპოზიციამ რკინიგზის პიკეტიკება გადაწყვიტა. გამყრელიძის მოწოდების შემდეგ მანიფესტანტები თბილისის ცენტრალური ვაგზლისკენ გაემართნენ. მომიტინგეთა ნაწილი კი რუსთაველის გამზირზე დარჩა. რკინიგზის სადგურთან მისულმა დემონსტრანტებმა გუშინვე შეასრულეს ოპოზიციის გადაწყვეტილება და რკინიგზის მაგისტრალი გადაკეტეს.

განცხადება

ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" აცხადებს ღია ტენდერს ვენტილაცია-კონდიციერების და გათბობის სისტემების და მათი სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე.

VTB

1) შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილიში, ჭანტურიას ქ. №14-ში მდებარე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ცენტრალური ოფისის ვენტილაცია-კონდიციერების და გათბობის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები.
2) ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ქართულ და უცხოურ იურიდიულ პირს.
3) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ, მოთხოვნისთანავე, სამუშაო საათებში 5. 06.2009წ. 12.00 საათამდე შემდეგ, მისამართზე – ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. №37, მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი.
4) პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები უნდა შეადგინონ მიღებული სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის მიხედვით,
5) ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი დღის განმავლობაში და დაასრულოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული სავალდებულო სამუშაოთა განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ან შესაძლებლობის შემთხვევაში უფრო ნაკლებ ვადაში მისი სატენდერო წინადადების შესაბამისად, მოთხოვნილი ეტაპების თანმიმდევრობის დაცვით.
6) ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია და სატენდერო წინადადებები დედნების სახით უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (ან ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე თარგმანის დართვით), ორი დახურული კონვერტით (სატენდერო წინადადება და შევსებული ხარჯთაღრიცხვა ცალკე კონვერტში, ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემების დამდასტურებელი და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია ცალკე კონვერტში) ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №37, მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი.
7) ტენდერში მონაწილე პრეტენდნენტებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამდასტურებელი, ასევე სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები და შევსებული სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 10.6.09წ. 16.00 საათამდე: სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების ზუსტ რეკვიზიტებს.
8) პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
9) ალტერნატიული სატენდერო წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია.
10) დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს, საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
11) პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ქ. თბილიში, დ. უზნაძის ქ. №37, ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სათაო ოფისში, წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდეგ.
12) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ (უცხოური კომპანიის შემთხვევაში – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
• ცნობას სასამართლოდან, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, (უცხოური კომპანიის შემთხვევაში – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
• ცნობას საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხოური კომპანიის შემთხვევაში – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
• ამონაწერი საგადასახადო სამსახურიდან რეგისტრაციის შესახებ
• სატენდერო წინადადების უზრუნველყოფა, სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, ერთ-ერთი ფორმით :
1) საბანკო გარანტია, საქართველოში რეგისტრირებული, ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასათვის" მისაღები, რომელიმე ბანკიდან. (ბანკები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში)
2) ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში" განთავსებული შესაბამისი თანხის დეპოზიტი.
• დეტალური ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული მსგავსი პროექტების შესახებ. (აუცილებელია პრეტენდენტს და/ან მის საკვანძო თანამდებობებზე მყოფ თანამშრომლებს ქონდეთ მსგავსი საქმიანობის განხორციელების მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება, სასურველია საბანკო ან საოფისე დანიშნულების შენობებში).
• სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული, ბანკის სატენდერო კომისიისათვის წარსადგენი ვენტილაცია-კონდიციერების ძირითადი დანადგარების წარმოშობის და ხარისხის შესაბამისობის დამდასტურებელი სერთიფიკატები, (ან შესაბამისი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები) ძირითადი დანადგარების ფერადი სურათები ან ბუკლეტები.
• ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში" ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნის წერილობით ვალდებულება, ხელმოწერილს პრეტენდენტის ხელმძღვანელის მიერ, (იხ.პუნქტი 15.)
13) საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. პრეტენდენტები, რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი ან სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი სრულყოფილად ან ყალბი აღმოჩნდება ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვებიან შეფასებისათვის;
14) იმ პრეტენდენტებს, რომელთაც გახსნილი აქვთ ანგარიშსწორების ანგარიში ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში" (მინიმუმ ერთი წლის ბრუნვით,) სატენდერო წინადადებების შეფასებისას სხვა პრეტენდენტებთან თანაბარ პირობებში აღმოჩენის შემთხვევაში მიენიჭებათ უპირატესობა.
15) ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი, ვალდებულია გახსნას ანგარიში ს/ს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში", ბანკის მიერ გამარჯვებულ პრეტენდენტთან სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიშსწორება განხორციელდება ამ ანგარიშის მეშვეობით, ანგარიშის გახსნის ვალდებულება წერილობითი სახით (ხელმძღვანელის ხელმოწერით) წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებასთან ერთად.
16) ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმით.
17) ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ სატენდერო პროცედურებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ნებისმიერი მათთვის საჭირო ინფორმაცია, წერილობითი მიმართვის საფუძველზე მიიღონ მხოლოდ ბანკის რისკების სამმართველოს შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფის ქვემოთ მითითებული თანამშრომლებისაგან ასევე წერილობითი ფორმით, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას და სურვილის შემთხვევაში დაათვალიერონ სამუშაოთა განხორციელების ადგილი მხოლოდ აღნიშული ჯგუფის თანამშრომელთა უშუალო მონაწილეობით.
18) დამატებითი ინფომაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირებს, სალომე კალანდაძე, გიორგი ჩიხრაძე, ტელ: 822 505-589; მობ: 895 58-14-58. G.chikhradze@vtb.com.ge; S.kalandadze@vtb.com.ge

სატენდერო კომისია

ინფორმაცია

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, სააგენტოს მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო პროგრამებისა და სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების ფარგლებში განხორციელებულია შემდეგი შესყიდვები:

1. სოციალური დახმარებების" 2009 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული გასაცემლების გაცემის საბანკო მომსახურების შესყიდვა ტენდერის დასრულებამდე განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

მიმწოდებელი - ს/ს "საქართველოს სახალხო ბანკი".

2. ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების 2009 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული გასაცემლების გაცემის საბანკო მომსახურების შესყიდვა ტენდერის დასრულებამდე განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

მიმწოდებელი - ს/ს "საქართველოს სახალხო ბანკი".

3. "საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის" შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო გასაცემლების გაცემის საბანკო მომსახურების შესყიდვა - საერთაშორისო ერთეტაპიანი ტენდერი

განცხადებები ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა: 2009 წლის 9 თებერვლის გაზეთებში "24 საათი" და "GEORGIAN TIMES".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - ს/ს "საქართველოს სახალხო ბანკი".

4. სააგენტოს საჭიროებისათვის საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალების შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.

ლოტი 1: საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალა

ლოტი 2: საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალის დატენვა-აღდგენა

ლოტი 3: რიზოგრაფის სახარჯი მასალა

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა: 2009 წლის 27 თებერვლის გაზეთში "24 საათი".

ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა: 2009 წლის 18 მარტის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - შ.პ.ს. "სოფტ ეჯეკტი" - ლოტი 1, 2.

ლოტი 3 გამოცხადდა ჩაშლილად, ვინაიდან, არცერთი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. სააგენტოს საჭიროებისათვის საკანცელარიო საქონლის შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.

ლოტი 1: ქაღალდის შესყიდვა

ლოტი 2: საკანცელარიო ნივთების შესყიდვა

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2009 წლის 27 თებერვლის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:

შ.პ.ს. "ესაბი" - ლოტი 1;

ი/ს "გიორგი კანდელაკი - ვესტა" - ლოტი 2.

6. სააგენტოს საჭიროებისათვის საოფისე და ელექტროტექნიკის შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი

ლოტი 1. კომპიუტერების შესყიდვა

ლოტი 2. უწყვეტი დენის წყაროების შესყიდვა

ლოტი 3. სატელეფონო სადგურებისა და ტელეფონების შესყიდვა

ლოტი 4. დენის გამმართველების შესყიდვა

ლოტი 5. ქსელის კარადების შესყიდვა

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2009 წლის 27 თებერვლის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:

1. შ.პ.ს. "ალგორითმი" - ლოტი 1, 2, 5;
2. შ.პ.ს. "სოფთ მასტერი" - ლოტი 4;
3. შ.პ.ს. "მზე" - ლოტი 3.

7. სააგენტოს ოფისების სარემონტო სამუშაოების შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი

ლოტი 1. - 248.4 მ2 ფართის ხაშურის რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 2. - 443.6 მ2 ფართის ზესტაფონის რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 3. - 239.7 მ2 ფართის ქობულეთის რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 4. - 141 მ2 ფართის შუახევის რაიონულ განყოფილებაში დარჩენილი სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 5. - 241.8კვ.მ. ფართის წნორის რაიონული განყოფილების სარემონტო სამუშაოები.

ლოტი 6. - 263.1კვ.მ. ფართის ფოთის რაიონული განყოფილების სარემონტო სამუშაოები.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2009 წლის 24 მარტის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაცია, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - შ.პ.ს. "გრუსია" - ლოტი 5-6.

ლოტები 1, 2, 3 და 4 გამოცხადდა ჩაშლილად, ვინაიდან, არცერთი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მოთხოვნებს.

თბილისში - 12 წლის შემდეგ

ელისო ბოლქვაძის კონცერტს მაესტრო ლარან პეტიჟირარი დირიჟორობდა

მზეხა მახარაძე

ეს იყო კონცერტი, როცა მსმენელები მუსიკის სიურეალისტურ დროში გაერთიანდნენ, კლასიკის მეტაფორული ენა, თუნდაც მისტიკური ძალა ყველასთვის ერთნაირად გასაგები და რაღაცნაირად გადამდები გახდა... რუსთაველის თეატრში მსოფლიო მაესტრო ლორან პეტიჟირარი იყო ამ მუსიკალური საღამოს სტუმარი, სოლისტი ელისო ბოლქვაძე - "იმპოზანტური პიანისტი", რომლის ფენომენზეც ვან კლიბერნს უთქვამს: "ის ბრწყინვალე პიანისტია... მისი ვარსკვლავი ამობრწყინდება და მთელი მსოფლიოს საკონცერტო დარბაზები მიესალმებიან..." ამ კონცერტზე არიან პარიზიდან ქართველი ემიგრანტები და პარიზიდან ელისოს ერთგული მსმენელები, ფრანგები, რომლებიც წლებია ასე, კონცერტიდან კონცერტზე დაჰყვებიან: "ელისო არაჩვეულებივია, რამდენჯერაც არ უნდა მოუსმინო, იმდენჯერ მოიხიბლები..."

დარბაზში სანამ ფორეს სუიტა გაიფანტება, მსმენელი კი ერთიანად "გაიყინება", მანამდე კულისებში ჩუმი, შეფარული ღელვაა. ეს განცდაც, ალბათ, მუსიკის დამატებითი "ტაქტია", აბა სხვა რა უნდა იყოს. ელისო ბოლქვაძე თავის "თავში იკეტება" და მუსიკაზე იწყებს ფიქრს - როგორ შევიდეს ბეთჰოვენის დრამატურგიაში რომ გაჰყვეს ვენის კლასიკოსის ხასიათს, მოძრაობასა და ფერს.

- როგორ განწყობაზე ხართ კონცერტის წინ ბატონო ლორან?

- სასიამოვნო. მუსიკა - ეს ჩემთვის დიდი დღესასწაულია და არა რაღაცის დასამტკიცებელი საშუალება. დირიჟორი ორკესტრში ერთია, მე არ ვუკრავ, მაგრამ კონცენტრირებული ვარ, ბოლომდე უნდა დავრჩე მუსიკაში.

მსმენელის მოლოდინი უკვე დაძაბულობაში გადადის... ფრანგი დირიჟორის გამოსვლის შემდეგ დარბაზი მშვიდდება, ეროვნული სიმფონიური ორკესტრი კი ლორან პეტიჟირარის იდეების ინტერპრეტატორი ხდება. კონცერტს ფრანგული დასაწყისი აქვს - სრულდება გაბრიელ ფორეს "მასკები და ბერგამასკები". ეს საორკესტრო სუიტა, რომელშიც "გიჟური ენერგიაა ჩადებული", ჰარმონია - ცვალებადი, თითქმის სულ პიანოზეა დაწერილი... მაესტროს თქმით, "აქ ორკესტრანტებმა კარგად უნდა გაიგონ ყოველი პასაჟის შინაარსი და ხასიათი". ოპუსის მთავარი თემა, რომელიც სიმებიან საკრავებს მიჰყავს, პირველი ტაქტებიდან შემოდის. ეს მსუბუქი, თუმცა სევდიანი მუსიკა ფორტეზე იშლება, "თბება" და როგორც მუსიკოსები ამბობენ, ასოციაციურად "ნაღვლიანი ადამიანის თხრობაში გადადის". ფორეს ფრაზებში ბევრია იმპრესია, ბევრია "ელეგანტური ბგერა", ფრანგული სული, ატონალობის ელემენტი... ამიტომაც ეს მუსიკა შესასრულებლად რთულია თავისი სტილით, თუნდაც სტრუქტურით, "მას უნდა მოუძებნო ბგერა, ანუ ჟღერადობა უნდა იყოს დელიკატური".

ᲚᲝᲠᲐᲜ ᲞᲔᲢᲘᲟᲘᲠᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲚᲘᲡᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ.

ᲮᲔᲢᲘᲠᲘᲐ ᲯᲘᲜᲯᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

პირველი აპლოდისმენტების შემდეგ ლედი პიანისტი სიმფონიურ ორკესტრს უერთდება და... დარბაზში იწყება "სულ სხვანაირი" მოსმენა. ელისო ბოლქვაძემ, რომელსაც სამშობლოში 12 წელია არ დაუკრავს, "ყველაზე მკაცრი მსმენელის წინაშე ბეთჰოვენის N1 საფორტეპიანო კონცერტი შეარჩია". კლასიკის ფერია ფიქრობს მუსიკაზე, საფორტეპიანო პარტიით შედის ორკესტრთან გასაუბრებაში და სონატურ ალეგროში იწყებს ცხოვრებას, იქ, სადაც ყველაფერი უკვე თავისით ხდება... ამ მუსიკის ფერისა და სევდის პოეზიაში ელისოს თითები დასრიალებენ იამაჰას კლავიშებზე, ბგერის ესთეტიკა პიანოზე ბრწყინავს, მისი შინაგანი რიტმი მიჰყვება ვირტუოზულ პასაჟებს, იღებს "ინტელექტუალურ აკორდებს", მერე რიტენუტოზე მისეულ სიღრმეს, სხვა შინაარს აძლევს მუსიკას და ასე გადაგიყვანს კლასიკური Andante-ს იმ ლამაზ რომანტიკაში, რომელიც იქვე "დასანახი ხდება"... სიმფონიაში ტემპი იცვლება - მეორე ნაწილი მუსიკისა და მსმენელისთვისაც ერთგვარი განტვირთვაა, აქ მეტი სიმშვიდე და სიმსუბუქე შემოდის, ლაიტმოტივები იშლება, ფართოვდება და ეს ბგერები, რომლებიც ფრაზებში გამჭვირვალედ ჩნდება, ელისოს ქალური შარმით იმოსება. ჰარმონიულ ტაქტებში პიანისტი დებს მისეულ სითბოს, სინაზეს... ანუ გგონია, რომ მუსიკას რომანტიკული ფერი უბრუნდება. ფინალი? ფინალი კულმინაციურია, სადაც დრამატურგია ნათელ ბგერებთან ხდება თანაზიარი. მუსიკაში ჩასაბერი საკრავების ბუნდოვანებას თავისი კონტრასტი შეაქვს, მაესტროს უნდა, რომ სასულე ობერტონებმა სხვა შეფერილობა მიიღოს... ორკესტრის შესრულებაში დირიჟორი ყველა ბგერის ლამაზი ტემბრით აღებას ითხოვს, არსებულ ჰარმონიაში შემოსული თემის მეოთხე ტაქტზე კრეშენდო უნდა გაშალონ, ანუ როგორც ხუმრობს "სიმებს რბილად შეეხონ და ნოტებზე იფრინონ..." აქ ორკესტრის ვირტუოზულობას, ბგერების ესთეტიკას დირიჟორმა თავისი ის ინტელექტი და შინაარსი მოარგო, რომელიც პარიზიდან გამოიყოლა... ის, რომ მუსიკას არა აქვს ეროვნება, სამაგიეროდ აქვს ძალა, კიდევ ერთხელ იგრძნო მსმენელმა. კულმინაცია, რომელიც გადამდები იყო სცენიდან მსმენელისთვის, ძლივს დაცხრა. ყვირიან "ბის", "ბის"... ელისოსგან ისევ მუსიკას ითხოვენ, მაგრამ... პიანისტმა აღარ დაუკრა.

- ელისო, როგორი ემოციებია თქვენში?

- ემოციით ვარ ძალიან დატვირთული, საკუთარ ქალაქში დაკვრა ძნელი იყო, თან ამდენი ხნის მერე - 12 წელი დიდი დროა... ძალიან ვნერვიულობდი, ეს ზედმეტი ღელვა საშინელებაა...

- და მაინც, კონცერტით კმაყოფილი ხართ?

- ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ, საკმაოდ თბილად შემხვდნენ, კარგად მისმენდნენ... მე და ლორან პეტიჟირარმა ბეთჰოვენის ეს კონცერტი დავუკარით პარიზის ინვალიდების სასახლეში, მაშინ შედგა ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა, ის არის შესანიშნავი მუსიკოსი, ჩვენ მუსიკაში უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. მასთან შესრულება ჩემი ბეგრაუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ასევე მე სულ მინდოდა, რომ ქართული ორკესტრის თანხლებით დამეკრა... ნოსტალგია სულ მქონდა - თბილისში არ დამიკრავს 1997 წლის მერე და...

- ამ კონცერტით თქვენ დაუბრუნდით ქართველ მსმენელს?

- ასე ვთქვათ. დაახლოებით ერთ წელიწადში კიდევ რაღაც, განსაკუთრებულს გავაკეთებთ, მე ამის იმედი მაქვს მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საკონცერტო გრაფიკი ძალიან დატვირთულია: კონცერტები მაქვს ავსტრიაში, შემდეგ მივდივარ საფრანგეთში შოპენის ფესტივალზე, მერეა ბუდაპეშტის ფესტივალი, პარიზის კონცერტები...

- "ბისზე" რატომ არ დაგვიკარით?

- "ბისზე" საერთოდ არ მქონდა გათვალისწინებული, საერთოდ არ მიყვარს "ბისზე" დაკვრა.

- პარიზში რომ დაუკარით?

- იქ მაესტრომ დამაყენა ფაქტის წინაშე და... თუმცა მას უნდოდა, რომ აქაც დამეკრა "ბისზე", მაგრამ გავაფრთხილე არც კი შეწუხებულიყო.

- რატომ დაუჯერეთ ელისოს, ბატონო ლორან?

- რას ამბობთ, სხვანაირად არ შეიძლება... ელისოსთან ერთად დაკვრა არის უადვილესი, რადგან ის ვირტუოზი პიანისტია, მასში არასდროს არ არის ზედმეტი არც ერთი ბგერა, საინტერესოდ ესმის მუსიკა და როცა ეს ყველაფერი თავმოყრილია პიანისტში, ის ვირტუოზია. ჩემი ჩამოსვლაც ელისოს დამსახურებაა, რადგან არაჩვეულებრივი პიანისტის გარდა, ვფიქრობ, რომ ის არის ქართული მუსიკის ელჩი. მე მასში დავინახე ის სიყვარული და ის მუსიკალური აზროვნება, რომელმაც მთლიანად მიმიზიდა. ელისო 2010 წელს ჩემს ორკესტრთან ერთად დაუკრავს სენ-სანსის კონცერტს, ასე რომ, ბედნიერება წინ მაქვს.

მენდელსონ-ბარტოლდის "იტალიური სიმფონიის" მერე ფრანგი მაესტრო თავის ოპუსს - საორკესტრო პოემას ასრულებს. ის ნოტების გარეშე მართავს ორკესტრს, ამბობს, რომ "თავს გრძნობს რეჟისორად, რომელიც უცხო ენაზე დგამს ფილმს. მსახიობებმა ისწავლეს ტექსტები, მაგრამ შინაარსი კარგად არ იციან..." ორკესტრის მიერ დაახლოებით ასეთი "თარგმანით" ჟღერდა ეს ფრანგული პიესა, რომლსაც აქვს თავისი სტილი, "განსხვავებული ხასიათი" და ეს არის მუსიკა, რომელიც "სიმებიანებში ცურავს".

საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც თბილისის მერიისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა, მსოფლიო მაესტრომ ქართულად დაასრულა და იქვე იხუმრა: "მაჭავარიანის "დოლური" ხომ მოსმენილი გაქვთ? მე დიდი ხანი ვმეცადინეობდი, რომ ეს გვარი წარმომეთქვა - მაჭავარიანი. ეს მუსიკოსები ისე კარგად გრძნობენ ამ მუსიკას, რომ მე მათ არ ვხელმძღვანელობ, მარტო ხელებს ვიქნევ. ამ ნაწარმოებში, სადაც ყველაფერი ჩემს გარეშე მიდის, ვიოლინოები და ვიოლონჩელოები "გიჟებივით" უკრავენ. მე შევეცდები მასში თანამედროვე გამომსახველობითი საშუალებებს მივაგნო, რადგან ნებისმიერი კომპოზიცია არის "დულილის" შედეგი..."

ქართული კლასიკა ფოლკლორის თემაზე შესრულდა როგორც ერთი ამოსუნთქვა.

ამ ნაწარმოების "არქიტექტურაში", სადაც მეტია ჰარმონიული ქაოსი, უფრო მეტი კი ქართული ტემპერამენტი, გგონია, რომ მოსმენისას მუსიკა იცვლება, ივსება, დიდდება და ეს ხალხური ენერგია მუსიკიდან შენში გადმოდის. ალბათ, ასეთი ენერგეტიკის და არა "თანამედროვე გამომსახველობის" გამო დაიმსახურა ორკესტრმა მსმენელისგან "კულმინაციური" ემოციები...

მუსიკალური მრავალფეროვნება თბილისში

"ბამბა რუმსი" ქართულ საზოგადოებას სიახლეებს სთავაზობს

ეკა ჩიკვაიძე

თბილისში რესტორან/Djbar "ბამბა რუმსის" მოწვევით ამერიკელი რეპერი ჯიმს ჯონსი ჩამოვიდა და 26 მაისს კლუბური საღამო გამართა, სადაც თავისი როგორც ძველი, ისე ახალი სიმღერები შეასრულა. მომღერალი თბილისს პირველად, ორი დღით ესტუმრა, საქართველოს სხვადასხვა ღირსშესანიშნაობები დაათვალიერა, თუმცა ყველაზე დიდი მოწონება ქართველმა გოგონებმა დაიმსახურეს. კონცერტის გამართვამდე მან რამდენიმე რჩევაც მისცა ქართველ მსმენელს - "თბილისში პირველად ვარ და ძალიან მომწონს. საკმაოდ ენერგიული საღამო იქნება და ყველას ვურჩევ კომფორტული ფეხსაცმელები ჩაიცვას".

რეპერი კონცერტის წინა დღეს რესტორან/Djbar "ბამბა რუმსის" მიერ გახსნილ ახალ ტერასის ტიპის რესტორნის Bamba Rooms Lounge-ის გახსნასაც დაესწრო, სადაც ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების გარდა სხვა ცნობილი ადამიანებიც იყვნენ მიწვეულნი. შავ-თეთრ სტილში ფერებში გადაწყვეტილი რესტორანი საზოგადოებას ევროპულ და აზიურ სამზარეულოს სასიამოვნო მუსიკის თანხლებით სთავაზობს. უახლოეს მომავალში სტუმრები იაპონიიდან ჩამოყვანილი მზარეულის მიერ მომზადებული სუშის დაგემოვნებასაც შეძლებენ. "რესტორან/Djbar "ბამაბ რუმსი" ქართველ მომხმარებლში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამიტომ გადავწყვიტეთ ბიზნესი გაგვეფართოებინა და სიახლეები შევთავაზეთ საზოგადოებას. დარწმუნებულები ვიყავით, ხალხს ეს მოეწონებოდა, ყველა კმაყოფილია, შესაბამისად მეც კმაყოფილი ვარ", - აღნიშნა "ბამბა რუმსის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბოჭორიშვილმა. Bamba Rooms Lounge-ი 150 სტუმარს იტევს, ხოლო მათ განწყობას რეზიდენტი Dj-ები უზრუნველჰყოფენ. "მომწონს აქაურობა, ზაფხულსაც საკმაოდ გაალამაზებს ეს ადგილი და დარწმუნებული ვარ, რომ კარგ დროს გაატარებენ როგორც ჩამოსული, ისე თბილისელი სტუმრები. სასიამოვნო მუსიკაა და ალბათ საინტერესო საღამოებიც გაიმართება", - აღნიშნა ია კიწმარიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯიმ ჯონსის კონცერტი სწორედ 26 მაისს დაემთხვა და Bamba Rooms Lounge-ის გახსნაზე მისულმა სტუმრებმაც თავი შეიკავეს კონცერტზე წასვლისგან, ყველა ბილეთი უკვე წინასწარ იყო გაყიდული, ბილეთების ფასი კი 100 -დან 120 ლარამდე მერყეობდა.

შეგახსენებთ, რომ ჯოზეფ გუილერმო ჯონს მეორე, იგივე ჯიმ ჯონსი ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რეპერია. იგი ორგანიზაცია The Diplomats - ის წევრი და Diplomat Records - ის თანათავმჯდომარეა, ხოლო პოპულარობა მას 2004 წელს გამოშვებული ალბომის - On My Way to Church-ის შემდეგ ეწვია.

"ბამბა რუმსი" თბილისში 31 დეკემბერს გაიხსნა და შოუბიზნესის სხვადასხვა ცნობილ წარმომადგენლებს ხშირად მასპინძლობს. მათი მოწვევით 12 მაისს თბილისში X-Zibit-ი, ხოლო 16 მაისს Coolio იმყოფებოდა. ორგანიზატორები პოპულარული მომღერლების ჩამოყვანას ახლო მომავალშიც გეგმავენ.

დღეს დიდი დღეა, დიდი!

დღეს დიდი დღეა, დიდი! იტყოდა პოპულარული ქართული ტელესერიალის პოპულარული მთავარი გმირი ირაკლი ჩხეიძე დღევანდელ დღეზე. მართლაც რომ დიდი დღეა. დღეს რომის ოლიმპიურ სტადიონზე ბებერი კონტინენტის უძლიერესი კლუბის ვინაობა გაირკვევა. უცხოურმა მედიამ ამ მატჩს უკვე უწოდა გლადიატორთა ბრძოლა. თანამედროვე მილიონერი გლადიატორები დღეს საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს შეეცილებიან ერთმანეთს.

ნამდვილად არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ აქამდე გამართულ ფინალებს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: წლევანდელ ფინალში მართლაც მსოფლიოს ორი უძლიერესი კლუბი გავიდა. ისინი არა მარტო შედეგზე ორიენტირებულ, არამედ ლამაზ ფეხბურთსაც თამაშობდნენ. ეს გვაძლევს იმედს, რომ დღევანდელი ფინალი სანახაობრივად ლამაზი იქნება, რასაც ვერ ვიტყვით ყველა იმ ფინალზე, რომელიც აქამდე გვინახავს.

ორივე გუნდისთვის მატჩი გარკვეულწილად ისტორიულიც იქნება. მანჩესტერიც და ბარსელონაც მოგების შემთხვევაში ისტორიაში ახალ ფურცელს ჩაწერენ. თუ რომში სერ ალექსის შეგირდები გაიმარჯვებენ, მანჩესტერი პირველი გუნდი იქნება ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელიც ტიტულს შეინარჩუნებს. ამავე დროს მანკუნიანელებს ამ სეზონში პოკერის შანსიც ექნებათ - გუნდმა ორი ტიტული უკვე მოიგო და კიდევ ორისთვის იბრძვის.

რაც შეეხება ბარსელონას , კატალონიელები ჰეთ-თრიკისთვის იბრძვიან. მანჩესტერის მსგავსად, პეპ გვარდიოლას გუნდს ორი ტიტული უკვე მოგებული აქვს. განსხვავება ის არის, რომ კატალონიელებს ერთის მოგების შანსი აქვთ. მარტივი მიზეზის გამო ესპანეთში, ინგლისისგან განსხვავებით, ერთი თასი თამაშდება. კიდევ ერთი ისტორიული მოვლენა, რომელიც ბარსასთვის აღინიშნება, ის არის, რომ ამ კლუბის და, შესაძლოა, არც სხვა რომელიმეს ისტორიაში არ ყოფილა მწვრთნელი, რომელიც პირველივე სეზონში ასეთ დიდ წარმატებას მიაღწევდა.

აქ უკვე პარალელებზე შეგვიძლია ვისაუბროთ. როდესაც პეპ გვარდიოლა ბარსელონას თავკაცად დაინიშნა, დახლოებით ერთ თვეში ითქვა, რომ მას აქვს შანსი გახდეს ბარსელონასთვის ის, რაც მანჩესტერისთვის სერ ალექს ფერგიუსონია. ალბათ არსებობს რაღაც ლოგიკა იმაშიც, რომ დღეს სწორედ ეს ორი მწვრთნელი დაუპირისპირდება ერთმანეთს.

რა თქმა უნდა, მატჩის წინ მიღებულია საუბარი იმ დანაკლისზე, რომელიც გუნდებს აქვთ, იმ კომენტარებზე, რომლებიც გამოქვეყნდა, თუმცა ვინ ითამაშებს და ვინ - არა, უკვე ყველამ კარგად იცის, კომენტარებში კი ახალი არაფერი თქმულა. მეტოქის პატივისცემა და საკუთარი ძალების რწმენა - დაახლოებით ასეთი პათოსი იგრძნობოდა ყველა იმ ფეხბურთელის კომენტარში, რომლებმაც ფინალამდე ისაუბრეს.

დღევანდელ მატჩში გამორჩეული ფეხბურთლებიც იქნებიან. არ გეგონოთ, რომ ახლა რონალდუზე ან მესიზე გვინდა ყურადღების გამახვილდება. ორივე ძალიან ახალგაზრდაა და ალბათ კიდევ მოუწევთ ასეთი ფინალების თამაში. აი, ტიერი ანრი კი სხვა საქმეა. ფრანგი სუპერვარსკვლავი საკუთარი კარიერით უკმაყოფილო ვერ იქნება. მისი ჯილდოების კოლექციაში თითქმის ყველაფერია, რაც კი შეიძლება მოიგოს ფეხბურთელმა. გამონაკლისია ერთადერთი ტიტული - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს ჩემპიონთა ლიგა არასდროს არ მოუგია. ტიერი ანრის ჰქონდა ამ ჯილდოს მოგების შანსი, მაგრამ ფინალში ბარსელონასთან დამარცხდა. შემდეგ, ამ ტიტულის მოგების მიზნით, სწორედ ბარსელონას მიაშურა. დღეს ანრი კიდევ ერთ ფინალს ითამაშებს და დაუპირისპირდება იმ გუნდს, რომლის კარში გოლის გატანა კარგად იცის. თუმცა ფრანგი მანჩესტერის კარში აქამდე გატანილ ყველა გოლს ალბათ დიდი სიამოვნებით გაცვლიდა იმ ერთზე, რომელიც მას ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ტიტულს მოუტანდა.

ჩემპიონთა ლიგა ფინალი 2008-09

27 მაისი, რომი "სტადიო ოლიმპიკო"

2009 წლის ესპანეთის ჩემპიონი

ევროპული მიღწევები: ჩემპიოთა ლიგა 1992, 2006 თასების თასი: 1979, 1982, 1989, 1997 უეფას თასი: 1958, 1960, 1966

2009 წლის ინგლისის ჩემპიონი

ევროპული მიღწევები: ჩემპიონთა ლიგა 1968, 1999, 2008 თასების თასი 1991 მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი 2008

ბარსელონა			მანჩესტერი
გზა ფინალამდე – ჯგუფური ეტაპი			
სპორტინგი (შ)	3-1	პირველი დღე	ვილიარეალი (შ) 0-0
შახტარი (გ)	2-1	მეორე დღე	ოლბორგი (გ) 3-0
ბაზელი (გ)	5-0	მესამე დღე	სელტიკი (შ) 3-0
ბაზელი (შ)	1-1	მეოთხე დღე	სელტიკი (გ) 1-1
სპორტინგი (გ)	5-2	მეხუთე დღე	ვილიარეალი (გ) 0-0
შახტარი (შ)	2-3	მეექვსე დღე	ოლბორგი (გ) 2-2
მეთექვსმეტედფინალი			
ლიონი (გ)	1-1	პირველი მატჩი	ინტერი (გ) 0-0
ლიონი (შ)	5-2	მეორე მატჩი	ინტერი (შ) 2-0
მეოთხედფინალი			
ბაიერნი (შ)	4-0	პირველი მატჩი	პორტო (შ) 2-2
ბაიერნი (გ)	1-1	მეორე მატჩი	პორტო (გ) 1-0
ნახევარფინალი			
ჩელსი (შ)	0-0	პირველი მატჩი	არსენალი (შ) 1-0
ჩელსი (გ)	1-1	მეორე მატჩი	არსენალი (გ) 3-1

ურთიერთშეხვედრები

მანჩესტერი	1 - 0	ბარსელონა	29 აპრილი	2008
ბარსელონა	0 - 0	მანჩესტერი	23 აპრილი	2008
მ 2		ფ 4		მ 3

ჩემპიონთა ლიგა 08-09

6	მოგება
5	ფრე
1	მარცხი

ესპანური პრიმერა 08-09

27	მოგება
5	ფრე
4	მარცხი

ჩემპიონთა ლიგა 08-09

6	მოგება
6	ფრე
0	მარცხი

ინგლისური პრემიერლიგა 08-09

27	მოგება
6	ფრე
4	მარცხი

სავარაუდო შემადგენლობები



მწვრთნელი: პეპ გვარდიოლა
სათადარიგოები: ხოსე პინტო (მეკ) გუდიონსენი როდრიგესი კასარესი კრკიჩი გლები მილიტო

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
სათადარიგოები:



წამყვანი მოთამაშეები: მესი V რონალდუ

გოლები	8	4
დარტყმა	24	53
კარში	33.3%	7.5%
პასი	5	2
ჯარიმა	23	36
თამაშგარე	4	11

ბომბარდირები		საგოლე გადაცემები		კარში დარტყმები		ჯარიმები	
მესი	8	ხავი	6	რონალდუ	32	ალვეში	30
ანრი	5	მესი	5	ანრი	15	ფლეტჩერი	17
ბერბატოვი	4	ანრი	3	რუნი	15	ბერბატოვი	16
რუნი		რონალდუ	3	მესი	11	ბუსკეტსი	15
				გიგზი			

გუნდური მაჩვენებლები (თამაშში)

გოლები	2.5	1.5
დარტყმა	6.9	7.3
ბურთის ფლობა	62%	54%
კუთხური	6.8	6.7
თამაშგარე	1.8	2.9
ჯარიმა	11.5	13.1
დაჯარიმება	1.1	0.5





წყარო: UEFA,

© GRAPHIC NEWS